360 წუთი უგოლოდ

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 11 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - “ვოლგა” (გორკი) 2:0 (1:0).

“ვოლგა”: კარასევი, ლუკინი, სელივანოვსკი, კალაშნიკოვი, ბრედნევი, კალუგინი, კოსტილევი, გოლოვი, გოლოვენკოვი, მიხაილოვი, ზაბელინი.

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, აფშევი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი: მ. პინსკი (ხარკოვი).

დებიუტანტი! ეს სიტყვა ზოგჯერ შეიძლება არასწორად იქნას გაგებული იმ აზრით, რომ უმაღლეს ლიგაში ახლად შემოსულ გუნდს არა აქვს საჭირო გამოცდილება, ეშინია ძლიერი მოწინააღმდეგეებისა, ამიტომ შეიძლება დაიბნეს და ადრევე შეურიგდეს დამარცხებას. მითუმეტეს, თუ მას საქმე აქვს გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან.

მაგრამ ეს ხშირად ასე არ ხდება. ყოველ შემთხვევაში, კორკის ფეხბურთელებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს თბილისის “დინამოსთან” მატჩში. დასაკარგი მათ არაფერი ჰქონდათ, ამიტომ გუნდი თავიდანვე თამამად, აქტიურად ჩაება თამაშში და აჩვენა თავისი შესაძლებლობანი, რაც მას საკმაოდ მდიდარი ჰქონია. დამარცხებული გუნდის მიმართ ცუდი არ გვეთქმის.

მატჩის დასაწყისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის შემდგომ მსვლელობაზე. მე-4 წუთზე მესხმა საჯარიმო დარტყმიდან ძლიერად ჩააწოდა ზედ კარის წინ, ცენტრალურ ზონაში, სადაც ბურთზე ერთდროულად გავიდნენ აფშევი და იამანიძე. გოლი გარდაუვალი იყო: იგი უნდა გაეტანა ან ერთს, ან მეორეს. და სასიამოვნოა, რომ ეს მისია წილად ხვდა იუბილარს - შ. იამანიძეს, რომელმაც თავისი საიუბილეო, მე-200 მატჩი “ა” კლასის ჩემპიონატებში ამ საუცხოოდ გატანილი გოლით აღნიშნა - 1:0.

“ვოლგისათვის” დაცვითი ვარიანტით თამაშს ასეთი დასაწყისის შემდეგ, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და სტუმრებმაც მაშინვე სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. მათი თავდამსხმელები კოსტილევი, მიხაილოვი, ზაბელინი მოქმედებდნენ გაშლილად, მაღალ ტემპში. კარგი ტექნიკა აჩვენეს ბრედნევმა და კალუგინმა, რომლებიც მინდვრის სიღრმიდან დროულად შემოდიოდნენ იერიშის დროს და დაუღალავად ეხმარებოდნენ წინა ხაზის მოთამაშეებს. ვოლგელთა შეტევებს დრო და დრო საკმაოდ სახიფათო ხასიათი ჰქონდა და “დინამოს” დაცვას მაქსიმალური დატვირთვით მოუხდა ბრძოლა კარის უხიფათობის უზრუნველსაყოფად. თავისი სიტყვა თქვა მეკარე ლეჟავამაც, რომელმაც ძალზე ძნელი და მოულოდნელი ბურთი აიღო ზაბელინისაგან.

კარგა ხანს ეპყრათ ინიციატივა სტუმრებს მეორე ტაიმშიც, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ დინამოელთა დახვეწილი ინდივიდუალური ტექნიკა, სხვადასხვა რგოლების შეთამაშება, დიდი გამოცდილება მათს ენთუზიაზმზე გაცილებით მაღლა იდგა. თბილისელები მძიმე მომენტებშიც კი იცავდნენ თავიანთი რიგების მთლიანობას და “ვოლგის” თავდამსხმელებს ფაქტიურად ჩაკეტილ პოზიციაში უხდებოდათ ბრძოლა. მოგერიებული ბურთის მიმღები მოთამაშე ყოველთვის პოულობდა გზას კონტრშეტევის დასაწყებად.

სწორედ ასეთი კონტრშეტევა განახორციელეს თბილისელებმა 21-ე წუთზე. ცხოვრებოვმა შუა მინდვრიდან მიაწოდა ბურთი აფშევს, ამ უკანასკნელმა იგი

გადასცა ბარქაიას და ბარქაიამ ოსტატურად გამოიყენა ის მინიმალური საშუალება, რომელიც მას გააჩნდა ბურთის დასამუშავებლად. მეორე გოლი ცენტრფორვარდის მიერ გატანილ იქნა შეუცდომლად - 2:0.

აქ მოხდა სრული გარდატეხა თამაშში. დინამოელთა კონტრშეტევებს ხანგრძლივი შტურმის ხასიათი მიეცა და გუნდმა წინ გადაისროლა არა მარტო თავისი ნახევარდაცვა, არამედ მოიერიშე მცველიც - ბ. სიჭინავა.

რამდენიმე სიტყვა აფშევის შესახებ. მისი შრომისუნარიანობა და ენერგია გარკვეულ სამსახურს უწევს კოლექტივს, მაგრამ თუ აფშევი პირველ ტაიმში ზედმეტად ატარებდა ბურთს (ეს სრულიად უსარგებლოა ისეთი დრიბლიორების გარემოცვაში, როგორებიცაა მისი პარტნიორები), მეორე ტაიმში იგი თამაშობდა გაცილებით მეტი ტაქტით და ზომიერების გრძნობით, მეტი კოლექტიურობით, რამაც სათანადო შედეგიც გამოიღო. მაგალითად, 76-ე წუთზე აფშევის მიერ თავით დარტყმული ძლიერი ბურთის აღება გაჭირვებით შეძლო კარასევმა.

4 ტური ქულათა მაქსიმუმით. 360 წუთი მინდორზე და ხელუხლებელი კარი! ვფიქრობთ, ზედმეტი კომპლიმენტები ჩვენი გუნდისათვის საჭირო არაა. დინამოელები შესანიშნავად იბრძვიან XXVI ჩემპიონატში.

დასასრულ, მცირე შენიშვნა მსაჯის მიმართ. მან კარგად ჩაატარა მატჩი, მაგრამ მხედველობიდან გამოუშვა სახიფათო თამაშის რამდენიმე შემთხვევა გორკელთა მხრივ.

ვ. შავდია, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
“ლელო”, 12 აპრილი, 1964 წ.